საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

განკარგულება №28/2023

2023 წლის 29 აპრილს გასამართი მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის დამტკიცების თაობაზე

ქ. თბილისი 2023 წლის 20 თებერვალი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 169^2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს თერჯოლისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების მერების 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

203851509